საქართველო
აჭარის ა.რ. სოფლის მეურნეობის სამინისტრო
ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრი
N(N) JP AGROSERVICE CENTRE
ქ. ბათუმი, გოგებაშვილის ქ.№46ა
ტელ.:+995 (422) 27 99 29
46 a, GOGEBASHVILI STR., BATUMI, GEORGIA
TEL.: +995 (422) 27 99 29

N აგრო-01/471
14/08/2020

471-აგრო-01-2-202008141713

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

სოფლის მეურნეობის მინისტრს

ბატონ ტიტე არუშიძეს

ბატონო ტიტე,

თქვენი 2020 წლის 6 აგვისტოს N 03/699 წერილის პასუხად გაცნობებთ, 2018-2020 წლების პერიოდში ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრის“ მიერ შესრულებული და მიმდინარე პროგრამების/ქვეპროგრამების ბენეფიციარებზე მიწოდებული საქონლის და მომსახურების შესახებ ინფორმაციას, კერძოდ:

1) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის 2018 წლის პროგრამა „მეფუტკრეობის განვითარების ხელშეწყობა“ ფარგლებში, განხორციელდა თვირთმართველი ქ.ბათუმის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტების 240 მეფუტკრე ბენეფიციარების მიერ შესყიდული 1200 ფუტკრის ოჯახის (ამანათ-ნაყარი) სუბსიდირება.

2) ასევე ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი“-ს 2019 წლის პროგრამა „სასათბურე მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა“ ფარგლებში რეგიონში 80 %-ის თანადაფინანსებით 20 ბენეფიციართან მოეწყო 105 კვ.მ, 200 კვ.მ, 300 კვ.მ, და 500 კვ.მ ინდუვიდუალური სასათბურე მეურნეობები.

3) ბოსტნეული კულტურების წარმოების ქვეპროგრამის ხელშეწყობის ფარგლებში აჭარის რეგიონში, მიმდინარე წელს წარმოებული იქნა 1115070 სხვადასხვა ჯიშის ჩითილი, კერძოდ:

- პომიდორი წითელი გიგანი 31650 ცალი ჩითილი ღირებულებით 952.5 ლარი;
- პომიდორი როზავა გიგანი 38350 ცალი ჩითილი ღირებულებით 1150,5 ლარი;
- პომიდორი ფლეჩერი 11750 ცალი ჩითილი ღირებულებით 822,5 ლარი;
- პომიდორი ტორბეი 9682 ცალი ჩითილი ღირებულებით 1065 ლარი;
- პომიდორი სულთანი 95098 ცალი ჩითილი ღირებულებით 5466,7 ლარი;
- პომიდორი ტომსკი 329000 ცალი ჩითილი ღირებულებით 29610 ლარი;
- კიტრი რეგალ F-1 9300 ცალი ჩითილი ღირებულებით 372 ლარი;
- კიტრი სარგონი 9700 ცალი ჩითილი ღირებულებით 1455 ლარი;
- კიტრი კორინტო 391540 ცალი ჩითილი ღირებულებით 34158,6 ლარი;
- რეჰანი 69000 ცალი ჩითილი ღირებულებით 2100 ლარი;

- წიწაკა 136000 ცალი ჩითილი ღირებულებით 29920 ლარი;

ზემოთ აღნიშნული სასათბურე მეურნეობაში წარმოებული ჩითილები მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტებზე უსასყიდლოდ გადაეცა, კერძოდ:

- შუახევის მუნიციპალიტეტის მერიას 181 230 ცალი;
- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიას 271 040 ცალი;
- ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიას 360 000 ცალი;
- ქედის მუნიციპალიტეტის მერიას 152 800 ცალი;
- ხულოს მუნიციპალიტეტის მერიას 150 000 ცალი;

4) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრის“ ქობულეთის მუნიციპალიტეტში სოფელ ალამბარში (ს/კ 20.36.01.008; 20.36.01.009; 20.36.01.161.) ბალანსზე რიცხული „აგრო პარკის“ (50 ერთეული სათბური) საერთო ღირებულებამ შეადგინა 3 097 456.87 ლარი.

ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ თვეების მიხედვით ხარჯმა შეადგინა:

- მაისი - 123712,25 ლარი;
- ივნისი - 102262,12 ლარი;
- ივლისი - 43464,40 ლარი;

ხოლო ერთწლიანი ბოსტნეული კულტურების მოსავლის აღება (დაბინავება) დაიწყო მიმდინარე წლის ივლისის მეორე ნახევარში და გრძელდება მოსავლის მიღება აგროვადების გათვალისწინებით, კერძოდ:

- მწვანილები - (ოხრახუში 470 კგ, ქინძი 520 კგ, რეჰამი 1331 კგ, მწვანე ხახვი 471 კგ, სალათის ფურცელი 6142 კგ);
- ტკბილი წიწაკა (ბულგარული) - 8393 კგ;
- კიტრი - 45646 კგ;
- პომიდორი - 8514 კგ;
- ყაბაყი - 482 კგ;
- ბადრიჯანი - 2727 კგ;
- შერეული - 401 კგ;

  ზემოთ აღნიშნული მიღებული მოსავლის უსასყიდლოდ გადაცემა ხდება ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრის“ მიერ ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიაზე.

წარმოგიდგენთ დანართის სახით 282 ფურცელს:

პატივისცემით,

იოსებ აბულაძე

დირექტორი - მ.შ.
ა(ა)იპ„აგროსერვისცენტრი“